განმარტებითი ბარათი

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 12 თვის

შესრულების შესახებ

2023 წლის შემოსულობების დამტკიცებული წლიური გეგმა იყო 39 213,1 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსულობებმა 12 თვის მდგომარეობით შეადგინა 39 272,4 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 100%-ს. არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა იყო 491,9 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 677,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 137%-ია.

გადასახადების წლიური გეგმა იყო 27 846,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 27 332,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 98%-ია. მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადის წლიური გეგმა იყო 21 546,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 21 513,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100%-ია. შემოსავლები ქონების გადასახადიდან წლიურად დაგეგმილი იყო 6 300,0 ათასი ლარის ოდენობით, შესრულება 5 819,1 ათასი ლარია, რაც შეადგენს წლიური გეგმის 92%-ს. საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) წლიური გეგმა იყო 5 925,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 5 172,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 87%-ია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური გეგმა იყო 47,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულება 91,0 ათასი ლარია, რაც შეადგენს წლიური გეგმის 194%-ს. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური გეგმა იყო 305,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულება 465,7 ათასი ლარია, რაც შეადგენს წლიური გეგმის 153%-ს.

გრანტების სახეობაში წლიური გეგმა 7 958,0 ათასი ლარი იყო, შესრულებამ შეადგინა 7 858,7 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 99%-ით, მათ შორის: მიზნობრივ ტრანსფერში დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად წლიური გეგმა იყო 365,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 365,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერის წლიური გეგმა იყო 6 713,0 ათასი ლარი, შესრულება 6 613,7 ათასი ლარია, წლიური გეგმა შესრულდა 99%-ით.

სხვა შემოსავლებში წლიური გეგმა იყო 2 917,2 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 3 404,3 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 117%-ს. აქედან, შემოსავლები საკუთრებიდან წლიურად დაგეგმილი იყო 1 550,6 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 1 786,0 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 115%-ს, შემოსავალი პროცენტიდან წლიურად დაგეგმილი იყო 1 247,6 ათასი ლარის ოდენობით, 12 თვის შესრულებამ 1 428,6 ათას ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 114%-ია.

შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან წლიურად დაგეგმილი იყო 266,5 ათასი ლარის ფარგლებში, შესრულებამ შეადგინა 345,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 130%-ია, აქედან, სანებართვო მოსაკრებლის წლიური გეგმა 28,0 ათასი ლარი იყო, შესრულებამ შეადგინა 27,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 99%-ია. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის წლიურად დაგეგმილი იყო 160,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 201,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 126%-ია.

შემოსავალი არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან წლიურად დაგეგმილი იყო 30,0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური შესრულება შეადგენს 22,5 ათას ლარს - წლიური გეგმის 75%-ს.

ჯარიმების, სანქციების და საურავების წლიური გეგმა იყო 817,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 938,6 ათასი ლარი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 114%-ს.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების წლიური გეგმა იყო 283,1 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 334,4 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 118%-ით.

არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა იყო 491,9 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 677,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 137%-ია.

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს, წლიური გეგმა შეადგენდა 50 784,0 ათას ლარს, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 38 822,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 77%-ია:

მუნიციპალიტეტის მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 01 00) წლიურად დაგეგმილი იყო 6 375,4 ათასი ლარის ოდენობით, 12 თვის შესრულება შეადგენს 5 714,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 90%-ს შეადგენს. მათ შორის:

საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფის (ორგანიზაციული კოდი 01 01) წლიური გეგმა შეადგენდა 6 194,2 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 5 548,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 90%-ია.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ორგანიზაციული კოდი 01 01 01) წლიურად დაგეგმილი ხარჯი შესრულებულია 93%-ით, წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1 618,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 1 506,4 ათასი ლარი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის (ორგანიზაციული კოდი 01 01 02) ხარჯი წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 4 404,2 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 3 898,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 89%-ს შეადგენს.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის ღონისძიებებზე (ორგანიზაციული კოდი 01 01 03) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 172,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 144,4 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 84%-ით.

საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 02) წლიურად დაგეგმილი იყო 164,6 ათასი ლარით, მათ შორის :

სარეზერვო ფონდის (ორგანიზაციული კოდი 01 02 01) წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 200,0 ათასი ლარის ოდენობით, 2023 წლის ბოლოს დარჩენილია 1,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (ორგანიზაციული კოდი 01 02 03) წლიურად დაგეგმილი იყო 163,7 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 163,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100%-ს შეადგენს.

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამისთვის (ორგანიზაციული კოდი 01 03) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 16,5 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 1,5 ათასი ლარი - გეგმის 9%.

ინფრასტრუქტურის განვითარების (ორგანიზაციული კოდი 02 00) პროგრამისთვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 24 064,4 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 15 258,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 63%-ს შეადგენს, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების (ორგანიზაციული კოდი 02 01) წლიური გეგმა იყო 10 097,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 8 228,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 82%-ს შეადგენს, აქედან:

გზების მიმდინარე შეკეთების (ორგანიზაციული კოდი 02 01 01) წლიური გეგმა იყო 170,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 104,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 62%-ია.

ახალი გზების მშენებლობისთვის (ორგანიზაციული კოდი 02 01 02) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 9 905,4 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 8 111,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 82%-ს შეადგენს.

ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის (ორგანიზაციული კოდი 02 01 03) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 21,6 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 13,2 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 61%-ით.

წყლის სისტემების განვითარების (ორგანიზაციული კოდი 02 02) ქვეპროგრამისთვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 3 356,6 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 1 973,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 59%-ს შეადგენს, აქედან:

წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის (ორგანიზაციული კოდი 02 02 03) წლიური გეგმა იყო 2 706,6 ათასი ლარი, შესრულება 12 თვის მდგომარეობით 1 341,4 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 50%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ,ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირებისთვის (ორგანიზაციული კოდი 02 02 04) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 650,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 632,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 97%-ს შეადგენს.

გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (ორგანიზაციული კოდი 02 03 01) წლიური გეგმა იყო 600,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 507,8 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 85%-ით.

გარე განათების ახალი წერტილების მოწყობისთვის (ორგანიზაციული კოდი 02 03 02) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 152,5 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 75,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 49%-ს შეადგენს.

საკადასტრო აზომვითი ნახაზების, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (ორგანიზაციული კოდი 02 07 01) წლიური გეგმა იყო 1 186,7 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 845,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 71%-ია.

შენობების, ფასადების და სახურავების რეაბილიტაციისათვის (ორგანიზაციული კოდი 02 07 02) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 4 619,2 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 1 087,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 24%-ს შეადგენს.

პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის (ორგანიზაციული კოდი 02 07 03) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1 802,3 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 1 435,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 80%-ს შეადგენს.

სოფლის მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის (ორგანიზაციული კოდი 02 07 04) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 2 135,1 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 1 000,2 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 47%-ით.

ა(ა)იპ ,,ახალციხის სასაფლაოების მართვის ცენტრი"-ს (ორგანიზაციული კოდი 02 08 02) წლიური გეგმა 115,0 ათას ლარს შეადგენდა, წლიური შესრულება კი 104,2 ათასი ლარია - გეგმის 91%.

დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ქვეპროგრამისთვის (ორგანიზაციული კოდი 03 01) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 3 916,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 3 291,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 84%-ია.

ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფის (ორგანიზაციული კოდი 03 02) წლიური დაფინანსება განსაზღვრული იყო 2 941,0 ათასი ლარით, 12 თვის შესრულება შეადგენს 2 878,8 ათას ლარს, რაც გეგმის 98%-ია.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის (ორგანიზაციული კოდი 04 01 01) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 5 033,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 4 974,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 99%-ს შეადგენს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და ინვენტარით უზრუნველყოფის ხარჯისთვის (ორგანიზაციული კოდი 04 02 01) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 666,3 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 132,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 20%-ს შეადგენს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაციისა და ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის (ორგანიზაციული კოდი 04 02 02) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 570,2 ათასი ლარი, 12 თვის შესრულება 488,3 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 86%-ს შეადგენს.

ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტებისთვის (ორგანიზაციული კოდი 04 03) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 42,2 ათასი ლარის ოდენობით, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 31,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 75%-ს შეადგენს.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ღონისძიებების (ორგანიზაციული კოდი 05 00) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 5 053,8 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 4 305,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 85%-ს შეადგენს, მათ შორის:

სპორტული ღონისძიებების (ორგანიზაციული კოდი 05 01 01) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 237,3 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 218,6 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 92%-ით.

სპორტული ობიექტების აღჭურვის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის (ორგანიზაციული კოდი 05 01 02) პროგრამისთვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 981,0 ათასი ლარი, 12 თვის მდგომარეობით შესრულება შეადგენს 627,5 ათას ლარს, რაც წლიური გეგმის 64%-ია.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების (ორგანიზაციული კოდი 05 01 05) წლიური დაფინანსება განისაზღვრა 947,0 ათასი ლარით, 12 თვის მდგომარეობით შესრულება 916,1 ათასი ლარია, გეგმის 97%.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების (ორგანიზაციული კოდი 05 02 01) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 588,5 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 587,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის (ორგანიზაციული კოდი 05 02 02) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 473,8 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 473,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის (ორგანიზაციული კოდი 05 02 03) დაფინანსება წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 169,0 ათასი ლარით, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 157,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 93%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ახალციხის ციხის (ორგანიზაციული კოდი 05 02 04) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 200,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 198,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100 %-ია.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსების (ორგანიზაციული კოდი 05 02 07) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 275,7 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 186,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 68%-ს შეადგენს.

კულტურის ობიექტების აღჭურვის, რეაბილიტაციისა და მშენებლობის (ორგანიზაციული კოდი 05 02 08) ქვეპროგრამის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 696,2 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 470,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 68%-ს შეადგენს.

კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის (ორგანიზაციული კოდი 05 02 09) ქვეპროგრამის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 200,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 200,0 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 100%-ით.

საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის (ორგანიზაციული კოდი 05 03 01) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 80,3 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 65,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 82%-ს შეადგენს.

თეატრების (ორგანიზაციული კოდი 05 04) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 175,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 175,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 100%-ია.

ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (ორგანიზაციული კოდი 05 05) წლიური დაფინანსების გეგმით გათვალისწინებული იყო 30,0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 28,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 93%-ს შეადგენს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსების წლიური (ორგანიზაციული კოდი 06 00) გეგმით გათვალისწინებული იყო 2 121,6 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 1 747,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 82%-ია, მათ შორის:

სოციალური პროგრამების (ორგანიზაციული კოდი 06 02) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 2 121,6 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 1 747,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 82%-ს შეადგენს, აქედან:

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების (ორგანიზაციული კოდი 06 02 01) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 4,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 1,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 38%-ს შეადგენს.

შშმ პირთა სოციალური დახმარების ქვეპროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 02) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 222,6 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 186,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 84%-ს შეადგენს.

II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 03) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 19,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 12,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 67%-ს შეადგენს.

ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის (ორგანიზაციული კოდი 06 02 04) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 220,6 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 198,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 90%-ს შეადგენს.

ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 05) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 18,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 9,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 53%-ს შეადგენს.

იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 06) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 342,7 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 256,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 75%-ს შეადგენს.

99 წელს გადაცილებულ უხუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 07) დაფინანსების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 42,0 ათასი ლარი, შესრულებამ 26,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 63%-ია.

ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის შეღავათის პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 08) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 48,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ 44,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 92%-ს შეადგენს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის დაფინანსება ყოველ ახალშობილზე (ორგანიზაციული კოდი 06 02 09) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 97,0 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 91,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 94%-ს შეადგენს.

მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსებისთვის (ორგანიზაციული კოდი 06 02 10) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 6,1 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 1,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 25%-ს შეადგენს.

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 06 02 11) წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1 101,7 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებამ შეადგინა 918,1 ათასი ლარი, წლიური გეგმა შესრულდა 83%-ით.

პატივისცემით,

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი: გელა ლომიძე